

ტესტის სახელწოდება

Anti-Tg

ალტერნატიული სახელწოდება

ანტისხეულები თირეოგლობულინის მიმართ, ანტითირეოგლობულინი

რას იკვლევს მოცემული ტესტი?

Anti-Tg არის ანტისხეული თირეოგლობულინის მიმართ.

თირეოგლობულინი (Tg) არის ცილა, რომელსაც ჯანმრთელი ფარისებრი ჯირკვალი გამოიმუშავებს. Tg პროჰორმონია, ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონების - ტრიიოდთირონინის (T3) და თიროქსინის (T4) წინამორბედი.

ჩვეულებრივ, პათოლოგიური მდგომარეობის არარსებობისას, სისხლში თირეოგლობულინის საწინააღმდეგო ანტისხეულები არ გვხვდება. მიუხედავად ამისა, ჯანმრთელი ადამიანების დაახლოებით 10%-ს Anti-Tg-ს არსებობა მაინც აღენიშნებათ.

რისი დიაგნოსტიკისთვის ინიშნება?

ეს ტესტი, ფარისებრი ჯირკვლის სხვადასხვა დაავადებების დროს, დიაგნოზის დასმაში გვეხმარება. იგი ხშირად ინიშნება Anti TPO-ს (ანტისხეულები თირეოპეროქსიდაზას მიმართ) ანალიზთან ერთად.

საგულისხმოა, რომ როდესაც სისხლში Anti-Tg ცირკულირებს, მას შეუძლია თირეოგლობულინს შეუკავშირდეს. ეს კი თირეოგლობულინის ტესტის სიზუსტეს ამცირებს და შედეგებს არასანდოს ხდის. სწორედ ამიტომ, როდესაც თირეოგლობულინის ტესტი ინიშნება, მნიშვნელოვანია ასევე Anti-Tg-ის დონის განსაზღვრა.

როგორ კეთდება ეს ტესტი?

საჭიროა ვენიდან სისხლის აღება.

როგორ მოვემზადოთ ტესტისთვის?

მოცემული ანალიზი სპეციალურ მომზადებას არ საჭიროებს, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ზოგიერთმა მედიკამენტმა შეიძლება გავლენა იქონიოს ტესტის შედეგებზე, ამიტომ ანალიზის გაკეთებამდე მიზანშეწონილია მკურნალ ექიმთან კონსულტაცია და მისგან შესაბამისი ინსტრუქციების მიღება.

შედეგების ინტერპრეტაცია

ანალიზის შედეგების ინტერპრეტაცია ექიმის მიერ უნდა მოხდეს.

ზოგადად, სისხლში Anti-Tg-ის დიდი რაოდენობით აღმოჩენა შეიძლება დაკავშირებული იყოს ფარისებრი ჯირკვლის სხვადასხვა ავტოიმუნური დაავადების, ზოგჯერ კი სიმსივნის არსებობასთან.